

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დადგენილება**

**„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების
ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 8-ით დამტკიცებული დანართები №1 (სარჩელი სამოქალაქო საქმეზე), №2 (მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) სამოქალაქო საქმეზე), №3 (სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე), №5 (საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე), №7 (სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე), №8 (მოპასუხის პასუხი (შესაგებელი) ადმინისტრაციულ საქმეზე), №9 (სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე), №11 (საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 18 ოქტომბრის კანონით დადგინდა სარჩელსა და მოპასუხის წერილობით პასუხში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მითითების შესაძლებლობა, რომლებიც ასაბუთებს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას თუ მოპასუხის პოზიციას, ხოლო სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში - გასაჩივრებული გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებსა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობის მითითების შესაძლებლობა. ამასთან, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლით დადგინდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში სარჩელის, მოპასუხის პასუხის (შესაგებლის) და სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ფორმების დასახელებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე პროექტი მიზნად ისახავს სარჩელის, მოპასუხის პასუხის (შესაგებლის) და სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ფორმების მითითებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.